

მოქალაქის ბზამკვეთი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
2017 წლის ბიუჯეტის მოქალაქის ბზამკვეთი





USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



სარჩევი

შესავალი	4
ტერმინთა განმარტება	5
თავი 1: პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების მეთოდოლოგია	7
ადგილობრივი ბიუჯეტის სტრუქტურა	8
ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსულობები	8
ადგილობრივი თვითმმართველობის გადასახდელები	9
პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის არსი და ძირითადი პრინციპები	10
პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი კომპონენტები და შედგენის მეთოდოლოგია	10
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის საბიუჯეტო პროცესების კალენდარი	12
თავი 2: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა	15
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მანვენებლები	15
პრიორიტეტი 1: ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	19
პრიორიტეტი 2: განათლება	27
პრიორიტეტი 3: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	30
პრიორიტეტი 4: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	36
პრიორიტეტი 5: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	43
თავი 3: მოქალაქეთა ჩართულობის და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმები ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირებისა და აღსრულების პროცესში	44
გამოყენებული დოკუმენტები და ლიტერატურა	48

შესავალი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს. ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ღონისძიებები მიზნად ისახავს ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრას, რაც უშუალოდ ასახავს ჰპოვებს მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ადგილობრივი ბიუჯეტი დაიგეგმოს გამჭვირვალედ, მიზანმიმართულად და საზოგადოების ფართო ჩართულობით, ხოლო მისი ხარჯვა კი მაქსიმალურად ეფექტიანად განხორციელდეს. ამისათვის, აუცილებელია, მოქალაქეები ინფორმირებულნი იყვნენ ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებისა და ქვეპროგრამების, მათ შესრულებისა და შედეგების შესახებ.

მოქალაქეებს, როგორც გადასახადების გადამხდელებს, უფლება აქვთ იცოდნენ, რა ფინანსდება მათ მიერ გადახდილი გადასახადებით და, ასევე, რამდენად მიზანმიმართულად და ეფექტურად ხორციელდება ბიუჯეტის ხარჯვა. მოქალაქეებს აქვთ უფლება დაათქსირონ საკუთარი საჭიროებები და მიაწოდონ შესაბამისი რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რათა მათ უკეთესად შეძლონ მოქალაქეთა საჭიროებების დაკმაყოფილება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევის შემუშავების მიზანია ხელი შეუწყოს მოქალაქეების ეფექტურ ჩართვას საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე.

გზამკვლევი მოიცავს სამ ძირითად თავს:

პირველი თავი ეთმობა პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების მეთოდოლოგიას. მასში მოკლედაა მიმოხილული პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია და ძირითადი კომპონენტები. ასევე, მოცემულია ქალაქ ბათუმის 2017 წლის საბიუჯეტო პროცესების დეტალური კალენდარი.

გზამკვლევის მეორე თავში მოცემულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები. მარტივ და გასაგებ ენაზე აღწერილია 2017 წლის ბიუჯეტის ძირითადი ღონისძიებები და მათი ბიუჯეტი.

მესამე თავი ეთმობა ბიუჯეტის ფორმირებისა და აღსრულების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების მოკლედ აღწერას. მასში მოთხრობილია იმ არსებული მექანიზმების შესახებ, რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, ეფექტურად განახორციელონ ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების მონიტორინგი და კონტროლი.

ტერმინთა განმარტება

ასიგნება - საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება.

ბიუჯეტი - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის - საკრებულოს მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

ბიუჯეტის შემოსულობები - საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა.

ბენეფიციარი - პროგრამის ან ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი; პროგრამის ან ქვეპროგრამის შედეგით მოსარგებლე პირი.

გადასახდელები - საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა.

გრანტები - უცხო ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან უსასყიდლოდ მიღებული სახსრები, რომლებიც მიემართება სხვადასხვა საინვესტიციო პროექტის დაფინანსებაზე.

მონიტორინგი - ორგანიზაციული მართვის ინსტრუმენტი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს პერიოდულად შევაფასოთ და/ან გავზომოთ, თუ რამდენად აღწევს ორგანიზაცია თავისი პროგრამებითა და ქვეპროგრამებით დასახულ მიზნებსა და შედეგებს.

პრიორიტეტების დოკუმენტი - წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას, რომელშიც განსაზღვრულია ქალაქ ბათუმის მერიის საშუალოვადიანი პრიორიტეტები და მათი განხორციელებისათვის აუცილებელი პროგრამები.

პროგრამული ბიუჯეტი - მხარჯავი დაწესებულების მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსაზღვრული პრიორიტეტული პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორთა ერთობლიობა.

პროგრამა - ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

პროგრამის მიზანი - დაკავშირებულია პრიორიტეტის საშუალოვადიან მიზანთან და, ამასთან, ასახულებს, რატომ არის ეს პროგრამა ეფექტიანი პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზნის მისაღწევად.

პროგრამის აღწერა - ქვეპროგრამები, ღონისძიებები, რომელთა განხორციელება იგეგმება პროგრამის განხორციელების ეტაპზე; აგრეთვე, პირთა წრე, რომლებიც წარმოადგენენ პროგრამის ბენეფიციარებს.

პროგრამის საბოლოო შედეგი - მდგომარეობა, რომელიც დაგეგმილი პროგრამის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს; საბოლოო შედეგი გულისხმობს პრობლემის სრულად აღმოფხვრას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია - ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების თანმიმდევრული დაჯგუფება ეკონომიკური ხასიათის, ფუნქციონალური ღონისძიებების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

საბიუჯეტო პროცესი - ბიუჯეტის მომზადების, განხილვისა და დამტკიცების, აღსრულების, კონტროლის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისთვის დადგენილი პროცედურები.

საშუალოვადიანი გეგმა - მოიცავს 4 წლიან პერიოდს და გულისხმობს ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ თავისი საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების გამოკვეთას და გადაწყვეტილებების მიღებას მისი ადამიანური, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა სახის რესურსების გამოყენების შესახებ, დასახული სტრატეგიული ამოცანების გადასაჭრელად.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები - დაკავშირებულია ორგანიზაციის მისიასთან და აკონკრეტებს მისიაში მოცემულ ზოგად პრიორიტეტს.

საბოლოო შედეგის ინდიკატორები - საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირითადი მიზნის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდზე შეუძლებელია.

ქვეპროგრამა - პროგრამის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა.

ქვეპროგრამის მიზანი - დაკავშირებულია იმ პროგრამის წარმატებით განხორციელებასთან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის აღწერა - ღონისძიებები, რომელთა განხორციელება იგეგმება ქვეპროგრამის განხორციელების ეტაპზე; აგრეთვე, პირთა წრე, რომლებიც წარმოადგენენ ქვეპროგრამის ბენეფიციარებს.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგი - შუალედური შედეგი, საბოლოო შედეგისგან განსხვავებით, თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს.

შუალედური შედეგის ინდიკატორები - კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემული ინფორმაცია, როგორიცაა მიღებული პროდუქტების რაოდენობა, გაწეული მომსახურების ხარისხი.

ღონისძიება - ცალკეული ან რამდენიმე საქმიანობის ერთობლიობა, რომლის განხორციელება დაკავშირებულია მოკლევადიანი შედეგის მიღწევასთან.

თავი 1: პროგნოზი ბიუჯეტის შეფუთვების მეთოდოლოგია

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

თითოეულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია, როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. ადგილობრივ თვითმმართველობას საკუთარი (ექსკლუზიური) უფლებამოსილებების განხორციელებისათვის ხარჯების განწევა ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად შეუძლია. ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებებია:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა; საბიუჯეტო სახსრების განკარგვა;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მართვა;
- ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების მართვა;
- მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცება; მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
- წყალმომარაგების და წყალარინების უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა (2017 წლის 1 აპრილიდან);
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და საგზაო მოძრაობის ორგანიზება; პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება და რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა;

- გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;
- შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება;
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, მათ შორის, ქუჩების, პარკების, სკვერების და ა.შ. სახელდება;
- გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;
- შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;
- ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;
- უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებებისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შეუძლია ღონისძიებები სხვა მიმართულებებითაც განახორციელოს. აღნიშნული მიმართულებები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის სტრუქტურა

ბიუჯეტი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება: ბიუჯეტის შემოსულობები და ბიუჯეტის გადასახდელები.

ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა შემოსავალს, რომელიც შემდეგ მიიმართება ადგილობრივი თვითმმართველობის საჭიროებების დასაფინანსებლად, ანუ იმ ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტას.

შესაბამისად, ბიუჯეტის მეორე ნაწილი - გადასახდელები - მოიცავს ბიუჯეტით გასაწევ ყველა ხარჯს, ანუ სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსულობები

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობები შედგება საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობებისგან. საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეულებისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები. არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება

სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსულობები.

თვითმმართველ ერთეულს საკუთარი შემოსულობების ხარჯვა შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებლად და თავისი შეხედულებისამებრ.

ცხრილი №1 ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყაროები

საშემოსავლო გადასახადი - ქონების რეალიზაციით, იჯარით მიღებული შემოსავლიდან	100%
ქონების გადასახადი	100%
შემოსავალი ფინანსური აქტივებიდან	100%
შემოსავალი დივიდენდებიდან - ადგილობრივი ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან	100%
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი	100%
შემოსავალი სახელმწიფო მიწის იჯარიდან	35%
თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონებიდან	100%
სანებართვო მოსაკრებელი	100%
გარე რეკლამიდან	100%
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	100%
სამშენებლო ნებართვის მოსაკრებელი	100%
შემოსავალი სანქციებიდან, ჯარიმებიდან, თუკი დაკისრებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სამსახურის მიერ	100%
შემოწირულობებიდან	100%
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	100%

ადგილობრივი თვითმმართველობის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელები - ბიუჯეტის ანგარიშებიდან გასაცემი ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობაა. ადგილობრივი ბიუჯეტების გადასახდელები მოიცავს: ხარჯებს, დაკრედიტებას, სააქციო კაპიტალში მონაწილეობას და ვალის ამორტიზაციას - სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

$$\text{გადასახდელები} = \text{ხარჯები} + \text{დაკრედიტება} + \text{ვალის დაფარვა}$$

ბიუჯეტის ხარჯები წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ მათი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელების მიზნით გამოყენებულ ფულად სახსრებს.

პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის არსი და ძირითადი პრინციპები

საქართველოს საბიუჯეტო პროცესში ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების კიდევ ერთი ეტაპია პროგრამული ბიუჯეტის დანერგვაზე გადასვლა, რომელიც საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობის მოთხოვნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში 2013 წლიდან ხორციელდება.

პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის დაგეგმვის პროცესიდანვე შედეგზეა ორიენტირებული. პროგრამულ ფორმატში ნათელია მიზნ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის, რაც სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

პროგრამული ბიუჯეტის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები. შესაბამისად, პარალელურად იგეგმება შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი. ამავე დროს, ითვლება შედეგის მისაღწევად აუცილებელი ხარჯები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროგრამული ბიუჯეტის შესრულების, მონიტორინგისა და ანგარიშებისას ნათლად უნდა გამოჩნდეს მიღწეული შედეგები და არა მხოლოდ განხორციელებული ღონისძიებები და ათვისებული ასიგნებები.

პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი კომპონენტები და შედგენის მეთოდოლოგია

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტი იქმნება საშუალოვადიანი, ანუ ოთხწლიანი პერიოდისათვის და ეფუძნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტულ მიმართულებებს. იმისათვის, რომ ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულმა გამოკვეთოს და განსაზღვროს საშუალოვადიანი პრიორიტეტული მიმართულებები, იქმნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი. **პრიორიტეტების დოკუმენტი** წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო პროცესის ფუნდამენტურ კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტულ მიმართულებებს და წარმოადგენს აღნიშნული პრიორიტეტების განხორციელების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების ან/და განახლების საფუძველს მისი საშუალოვადიანი გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია წარმოადგენს, ანუ ის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები.

აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტების დოკუმენტში, გარდა ფინანსური ინფორმაციისა, რომელიც პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიით განისაზღვრება, მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიანი პრიორიტეტების მიზნები, აღწერა და დასაბუთება, რაც პრინციპულ მნიშვნელობას იძენს შედეგზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებისთვის.

პროგრამული ბიუჯეტის სტრუქტურაში მთავარი კომპონენტია პროგრამა. **პროგრამა** წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში, ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად. პროგრამა უნდა გამომდინარეობდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული რომელიმე პრიორიტეტიდან და მისი განხორციელება ხელს უნდა უწყობდეს პრიორიტეტის მიზნის მიღწევას. შესაბამისად, **პროგრამის მიზანი** დაკავშირებულია პრიორიტეტის საშუალოვადიან მიზანთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამას გააჩნია **პროგრამის საბოლოო შედეგი**, ანუ მდგომარეობა, რომელიც პროგრამის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს.


პროგრამების განხორციელებასა და საბოლოო შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელია მთლიანად ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (მერია).

შინაარსობრივად პროგრამები შეიძლება იყოს:

- 1 მართვის და რეგულირების, **რაც მოიცავს ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებებს.**
- 2 **მომსახურების მიწოდების** პროგრამების ფარგლებში მოსახლეობას მიეწოდება სხვადასხვა სახის მომსახურება.
- 3 **სუბსიდირების** პროგრამები მიზნად ისახავს სოციალური ჯგუფების ან ობიექტების სუბსიდირებას.
- 4 **ინფრასტრუქტურული** პროგრამები, ძირითადად, ემსახურება სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას.

პროგრამები აუცილებელია დაიყოს ძირითად მიმართულებებად ანუ **ქვეპროგრამებად**, ხოლო ქვეპროგრამები, თავის მხრივ, მოიცავს გასატარებელ **ღონისძიებებს**.

საშუალოვადიანი დაგეგმვის და პროგრამული ბიუჯეტის კომპონენტებს შორის კავშირი მოცემულია ქვემოთ, სქემატურად:



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის საბიუჯეტო პროცესების კალენდარი

თვე	ვადა	საბიუჯეტო პროცესის აღწერა
იანვარი	1 თებერვლამდე	მერიის სამსახურები მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს უგზავნიან გასული წლის საბიუჯეტო პროგრამების და ქვეპროგრამების წლიურ შესრულების ანგარიშებს
თებერვალი	1 მარტამდე	მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური საკრებულოსთვის გადასაგზავნად ამზადებს გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ერთიან ანგარიშს
	1 მარტამდე	მერია საკრებულოს წარუდგენს გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ერთიან ანგარიშს
მარტი	1 მარტი	მერია გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე
	10 მარტი	მერიის სამსახურები იწყებენ საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის გადახედვას და განახლებას

აპრილი	10 აპრილამდე	მერიის სამსახურები მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს უგზავნიან საბიუჯეტო პროგრამების 3 თვის შესრულების ანგარიშს
	20 აპრილამდე	მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური საკრებულოში გასაგზავნად ამზადებს ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიშს
მაისი	5 მაისამდე	მერიის სამსახურები ასრულებენ პრიორიტეტების და საშუალოვადიანი გეგმების განახლებას
	20 მაისამდე	მერიის სამსახურები ახდენენ საშუალოვადიანი გეგმების დაინტერესებულ მხარეებთან განხილვას და დაფინანსების განსაზღვრას
	25 მაისამდე	მერიის სამსახურები მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს წარუდგენენ შერჩეულ პრიორიტეტებს და პროგრამებს
ივნისი	10 ივნისამდე	მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს, რომელიც წარედგინება საკრებულოს
	30 ივნისამდე	საკრებულო ამზადებს შენიშვნებს პრიორიტეტების და განსახორციელებელი პროგრამების თაობაზე
ივლისი	10 ივლისამდე	მერიის სამსახურები მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს უგზავნიან საბიუჯეტო პროგრამების 6 თვის შესრულების ანგარიშებს
	20 ივლისამდე	მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური საკრებულოში გასაგზავნად ამზადებს ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშს
	25 ივლისამდე	მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს საკრებულოს შენიშვნების საფუძველზე კორექტირება შეაქვს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტში
აგვისტო	1 აგვისტომდე	მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებს და ა(ა)იპ-ებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს
სექტემბერი	5 სექტემბრამდე	მერიის სამსახურები და ა(ა)იპ-ები საბიუჯეტო (პროგრამების და ქვეპროგრამების) განაცხადებს წარუდგენენ მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს
	15 სექტემბრიდან	მერიის სამსახურები და ა(ა)იპ-ები დაინტერესებულ მხარეებთან ერთად იხილავენ მომავალი წლის პროგრამებს და ქვეპროგრამებს
	30 სექტემბრამდე	მერიის სამსახურები და ა(ა)იპ-ები ახდენენ დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნების და წინადადებების მომავალი წლის პროგრამებში და ქვეპროგრამებში გათვალისწინებას

ოქტომბერი	არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მანველებებს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე
	5 ოქტომბრამდე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე
	10 ოქტომბრამდე	მერიის სამსახურები მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს უგზავნიან საბიუჯეტო პროგრამების 9 თვის შესრულების ანგარიშს
	20 ოქტომბრამდე	მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური საკრებულოში გასაგზავნად ამზადებს ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშს
ნოემბერი	არაუგვიანეს 5 ნოემბრისა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესაბამის ორგანოებს აცნობებს ფინანსური დახმარების საპროგნოზო ოდენობებს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 101-ე მუხლის საფუძველზე
	10 ნოემბრამდე	მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური ამზადებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს
	10 ნოემბერი	მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის განახლებულ ვარიანტს
	არაუგვიანეს 15 ნოემბრისა	მერი განსახილველად წარუდგენს საკრებულოს ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე
	არაუგვიანეს 15 ნოემბრისა	ბიუჯეტის პროექტთან ერთად საკრებულოს წარედგინება საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე
	20 ნოემბერი	ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში წარედგინიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე
	არაუგვიანეს 25 ნოემბრისა	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო უბრუნებს ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით მერს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე
დეკემბერი	არაუგვიანეს 10 დეკემბრისა	ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მერი წარუდგენს საკრებულოს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე
	31 დეკემბრამდე	საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

თავი 2: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მარგენებლები

ცხრილი №1 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მარგენებლები

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
შემოსულობები	116,648.4	144,219.8	143,667.3
შემოსავლები	115,022.2	138,249.8	136,667.3
არაფინანსური აქტივების კლება	1,626.2	5,970.0	7,000.0
გადასახდელები	136,656.7	158,287.2	147,728.0
ხარჯები	78,667.6	88,231.4	81,149.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	45,725.8	57,013.0	53,010.3
ფინანსური აქტივების ზრდა	2,029.0	93.4	307.5
ვალდებულებების კლება	10,234.3	12,949.4	13,260.7
ნაშთის ცვლილება	-20,008.3	-14,067.4	-4,060.7


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის შემოსულობები

ცხრილი №2: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი
შემოსულობები

დასახელება	2017 წლის გეგმა
შემოსავლები	136,667.3
გადასახადები	31,300.0
გრანტები	72,342.3
მ.შ. გათანაბრებითი ტრანსფერი	37,342.3
მ.შ. კაპიტალური ტრანსფერი	35,000.0
სხვა შემოსავლები	33,025.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,000.0

სულ ჯამი	143,667.3
საკუთარი შემოსულობები	108,667.3
არასაკუთარი შემოსულობები	35,000.0

სქემა №1: ქალაქი ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების პროცენტული გადანაწილება



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული საშუალოვადიანი პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი შემუშავდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის სრული გათვალისწინებით.


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი ემყარება 2017-2020 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტს და მოიცავს შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსებას:

- ✓ ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება;
- ✓ განათლება;
- ✓ კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

გარდა ზემოაღნიშნული პრიორიტეტებისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება, რომელიც მოიცავს ქ. ბათუმის მერიისა და ქ. ბათუმის საკრებულოს ხარჯებს, სასესიო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებს, სარეზერვო ფონდს.

სქემა №2: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი საშუალოვადიანი პრიორიტეტების მიხედვით

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 27,303.2 ათასი ლარი
- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება - 80,020.7 ათასი ლარი
- განათლება - 13,683.0 ათასი ლარი
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 14,274.3 ათასი ლარი
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 12,446.8 ათასი ლარი



ცხრილი №3: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების 2017-2020 წლების საშუალოგადახანი ბიუჯეტი (ათასი ლარი)

საბიუჯეტო კოდი	დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
სულ ასიგნებები		147728.0	183940.7	179366.5	183504.8
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	27303.2	30837.9	30877.9	34554.9
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1621.5	1860.0	1860.0	1860.0
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	7411.7	8205.0	8205.0	8205.0
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	17465.0	20122.9	20162.9	23839.9
01 04	სარეზერვო ფონდი	750.0	600.0	600.0	600.0
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	30.0			
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	25.0	50.0	50.0	50.0
03 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	80020.7	107902.7	104120.1	104446.9
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	37866.6	40630.0	43460.0	43460.0
03 02	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება	5630.7	7500.0	7580.0	7580.0
03 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	14629.4	17389.9	16400.0	16400.0
03 04	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	14238.8	25127.6	22758.9	23135.7

03 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	5961.1	12400.0	12000.0	12000.0
03 06	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა- პატრონობა	888.9	650.0	680.0	680.0
03 07	ქალაქის დაგეგმარება	636.0	3800.0	800.0	800.0
03 08	მუნიციპალური სერვისების განვითარება	169.2	405.2	441.2	391.2
04 00	განათლება	13683.0	15228.0	15493.0	15643.0
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	13523.0	14998.0	15233.0	15383.0
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	160.0	230.0	260.0	260.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	14274.3	16355.4	14541.0	14439.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	9521.2	9454.3	7530.3	7422.4
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4471.5	6574.5	6679.5	6679.5
05 03	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	281.6	326.6	331.2	337.1
06 00	განმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	12446.8	13616.7	14334.5	14421.1
06 01	განმრთელობის დაცვა	3975.6	3923.4	3980.7	3994.3
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	7834.4	8545.1	9205.7	9278.5
06 03	სანიტარული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	636.8	1148.2	1148.2	1148.2

პრიორიტეტი 1: ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ წინაპირობას მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი წარმოადგენს, რაც უშუალო კავშირშია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებასთან. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება. შესაბამისად, ქალაქის მთელ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის მდგრადი სისტემის დანერგვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი პირდაპირ კავშირშია ქალაქში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებთან. ასევე, გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურის არსებობა ხელს უწყობს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას და საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას.


პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი მიზნად ისახავს (1) მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული, კომფორტული და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას; (2) ეფექტური კომუნალური მომსახურების დანერგვას ქალაქის მთელ ტერიტორიაზე; და (3) ეფექტური და მოთხოვნაზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისების განვითარებას;

საშუალოვადიან პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ძირითადი ამოცანებია:

- ბათუმის ძველი საზღვრების ფარგლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის სრული რეაბილიტაცია;
- ბათუმის სამხრეთ სანაპირო ზოლის ახალსოფელი-გონიო-კვარიათი-სარფის წყლის სისტემის რეაბილიტაცია;
- ჩაქვი-მახინჯაური-მწვანე კონცხის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა;
- შემოერთებულ ტერიტორიებზე წყლისა და წყალარინების სისტემების განვითარების მიზნით ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა;
- ქალაქის სანიაღვრე არხების სისტემის კაპიტალური რეაბილიტაცია და ქალაქის დატბორვის რისკების მინიმიზაცია;
- საგზაო-სატრანსპორტო სისტემების მდგრადი განვითარება და ქალაქის საგზაო ქსელის გამტარუნარიანობის გაუმჯობესება;
- სამგზავრო-სატრანსპორტო მუნიციპალური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ქალაქში საცხოვრებელი გარემოს მდგრადი განვითარების მიზნით, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება - ღია/სარეკრეაციო სივრცეების შექმნა, მწვანე საფარის გაზრდა და შესაბამისი მართვის სისტემების დანერგვა;
- ეფექტური და ეფექტიანი ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სისტემის დანერგვა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე;
- 2020 წლამდე სათბურის გაზების ემისიის ქალაქის სამოქმედო ტერიტორიაზე მინიმუმ 20%-ით შემცირება და ქალაქის გადაქცევა ე.წ. „მწვანე ქალაქად“.

ზემოაღნიშნული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

სქემა №3: ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი)



პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №4: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	37,866.6
03 01 01	გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა	1,884.5
03 01 02	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	30,450.4
03 01 03	გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა	5,531.7

ქვეპროგრამა: გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ასფალტირებული, არასასფალტირებული, რკინა-ბეტონის საფარიანი და ქვაფენილიანი ქუჩების შეკეთება და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები. ასევე, განხორციელდება ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქვეპროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა

2017 წელს, ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ე.წ. „ჭაობის დასახლებაში“ ქუჩების კეთილმოწყობა, რაც სამ ეტაპად განხორციელდება:

- პირველი ეტაპი - ი. ჭავჭავაძის და გიორგი ბრწყინვალეს ქუჩების შორის არსებული ქუჩების მონაკვეთების კეთილმოწყობა;
- მეორე ეტაპი - დემეტრე თავდადებულის და ლერმონტოვის ქუჩების მონაკვეთების კეთილმოწყობა;
- მესამე ეტაპი - გიორგი ბრწყინვალეს და ბაგრატიონის ქუჩების დამაკავშირებელი ქუჩების მონაკვეთების კეთილმოწყობა.

გარდა ე.წ. „ჭაობის დასახლებაში“ ქუჩების კეთილმოწყობისა, ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წელს განხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

- ბარცხანის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა;
- ბონის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა;
- კახაბრის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა:
 - ქ. ბათუმი თევდორე მღვდლის ქუჩის მონაკვეთი (№26-დან №54-მდე);
 - ნიკო ჯაყელის ქუჩა;
 - ნანეიშვილის ქუჩა.
- სამრეწველო უბნის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობა:
 - აკ. შანიძის ქუჩა;
 - ფრ. ხალვაშის გამზირის მე-6 და მე-8 შესახვევი.
- მწვანე კონცხის, გონიო-კვარიათის და სამრეწველო უბნებში გზის პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის მოწყობა.

ქვეპროგრამა: გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების სისტემის მოვლა პატრონობა, ახალი წერტილების დამატება და ენერგო-ეფექტური სანათებით აღჭურვა.

პროგრამა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №5: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
03 02	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება	5,630.7
03 02 01	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა	830.7
03 02 02	მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება	4,800.0

ქვეპროგრამა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ტერიტორიაზე სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგება და საგზაო მოძრაობის რეგულირების ღონისძიებების განხორციელება. ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია პარკირების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და დამატებითი პარკირების ზონების მოწყობა.

ქვეპროგრამა: მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია წლის განმავლობაში მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუზღუდავი და ხარისხიანი ფუნქციონირება. წლის განმავლობაში ყოველდღიურად ქალაქში არსებულ 16 მარშრუტზე იმოდრავებს 107 მუნიციპალური ავტობუსი. წლის განმავლობაში ქალაქში იმოქმედებს მუნიციპალური ავტობუსების 16 მარშრუტი.

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება

ბათუმში 2008 წლიდან მიმდინარეობს ერთ-ერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი - ბათუმის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეღავათიანი სესხისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტის პირველი და მეორე ფაზის დაფინანსების შედეგად განხორციელდა ქალაქის ძველი ტერიტორიის ფარგლებში 3/4-ის წყალმომარაგების და ქალაქის ტერიტორიის 1/3-ის წყალარინების სისტემის სრული რეაბილიტაცია. ქალაქისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მიმდინარე პროექტის დასრულება, რაც მიზნად ისახავს ქალაქში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნას.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №6: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
03 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	14,629.4
03 03 01	სანიღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	4,129.2
03 03 04	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება	10,500.2

ქვეპროგრამა: სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2017 წელს, განხორციელდება ქალაქის ცალკეულ ზონებში ავარიული სანიაღვრე არხების კაპიტალური რეაბილიტაცია. ასევე, რეგულარულად განხორციელდება ქალაქის სანიაღვრე არხებისა და მილების მოვლა-პატრონობისა და ზღვაში გასასვლელი არხის გაწმენდის სამუშაოები.

ქვეპროგრამა: ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეღავათიანი სესხისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით მიმდინარე ბათუმის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში დღგ-ს და სხვა გადასახადების თანადაფინანსება და უზრუნველყოფილი იქნება ახალი აბონენტების ჩართვა წყალმომარაგებისა და წყალარინების ახალ სისტემაში. ასევე, დაგეგმილია სასამელო წყლის სამარაგო რეზერვუარებისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობების აშენება.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე, განხორციელდება შპს „ბათუმის წყალის“ სუბსიდირება, რაც წყალმომარაგების არსებული ტარიფის შენარჩუნებას მოხმარდება.

პროგრამა: ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

ქალაქში საცხოვრებელი გარემოს მდგრადი განვითარების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება - ღია/სარეკრეაციო სივრცეების შექმნა, მწვანე საფარის გაზრდა და შესაბამისი მართვის სისტემების დანერგვა. ასევე, მნიშვნელოვანია ქალაქის მთელ ტერიტორიაზე ეფექტური და ეფექტიანი ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სისტემის დანერგვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი პროგრამის მიზანს ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურის და გამწვანებული ტერიტორიის გაფართოება წარმოადგენს.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №7: ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
03 04	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	14,238.8
03 04 01	ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	7,909.2
03 04 02	პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა	854.1
03 04 03	ქალაქის გამწვანების ღონისძიებები	2,041.7
03 04 04	სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვა	1,469.7
03 04 05	ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი	1,521.0
03 04 06	ქალაქის გაფორმების ღონისძიებები	443.1

ქვეპროგრამა: ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა

ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული დაფინანსება მოხმარდება დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართულ ფუნქციონირებას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მოწმევა-მორეცხვა; ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; ქალაქის სანაპირო ზოლის დასუფთავება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.

ქვეპროგრამა: პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შაფათავასა და მარუხის ქუჩების კვეთაზე არსებული ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა. ასევე, განხორციელდება ქ. ბათუმში შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკანა ტერიტორიაზე მოედნისა და მოედანთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობა.

ქვეპროგრამა: ქალაქის გამწვანების ღონისძიებები

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიული გაფორმება. ქალაქში არსებულ მწვანე ზონებში ჩატარდება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობისა და სხვადასხვა სახის აგროტექნიკური სამუშაოები. ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქის ტერიტორიაზე დაირგვება 700,000 ყვავილი და 4650 ხე-მცენარე.

ქვეპროგრამა: სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 6 მაისის პარკისა (მათ შორის, ზოოკუთხის) და ქალაქში არსებული სკვერების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები. ასევე, განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული შადრევნების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

ქვეპროგრამა: ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მიზნად ისახავს ბათუმის ბოტანიკური ბაღის, როგორც საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ბუნების ცოცხალი ძეგლის განვითარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცენარეთა კოლექციის მოვლის, განახლების და დაცვა-კონსერვაციის ღონისძიებები. უზრუნველყოფილი იქნება სანერგე მეურნეობის გამართული ფუნქციონირება. განხორციელდება ბოტანიკურ ბაღში ტურისტული და სამეურნეო დანიშნულების ინფრასტრუქტურის განახლების ღონისძიებები. ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელდება ეკო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტები.

ქვეპროგრამა: ქალაქის გაფორმების ღონისძიებები

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქუჩებისა და სკვერების გაფორმების ღონისძიებები საახალწლო-საშობაო დღესასწაულთან დაკავშირებით. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება სადღესასწაულო დღეებში ქალაქის ქუჩებისა და სკვერების გაფორმება. დაგეგმილია ტბელ აბუსერიძისა და ჟიული შარტავას ქუჩების კვეთაზე არსებული თაღის დეკორატიული განათება.

პროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი. პროგრამის განხორციელების შედეგად შემცირდება ამორტიზირებული და ექსპლუატაციისათვის უვარგისი საბინაო ინფრასტრუქტურა.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ქვეპროგრამის - ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსი“ - განხორციელება, რომლის ბიუჯეტიც **5,961.1 ათას ლარს** შეადგენს.

ქვეპროგრამა: ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მიმართულია საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდასაჭერად. კერძოდ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადადინანსებით განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (სახურავების შეკეთება, კომუნალური სისტემის შეცვლა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების, ლიფტებისა და სადარბაზოების) კეთილმოწყობის ღონისძიებები. ასევე, განხორციელდება საცხოვრებელი სახლებისათვის საინფორმაციო ფირნიშების შეძენა-მონტაჟი.

პროგრამა: მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა. შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალური სასაფლაოების სერვისის ხარისხიან და შეუფერხებელ მიწოდებას.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №8: მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
03 06	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	888.9
03 06 01	მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	441.7
03 06 02	მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობა	447.2

ქვეპროგრამა: მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

ქვეპროგრამა: მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობა

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ჩაქვში 17.7ჰა ახალი სასაფლაოს მშენებლობის დასრულება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.

პროგრამა: ქალაქის დაგეგმარება

პროგრამის მიზანს ქალაქის გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №9: ქალაქის დაგეგმარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
03 07	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	636.0
03 07 01	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	290.0
03 07 06	ბათუმის ტერიტორიის აეროფოტოგადაღება და ციფრული სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა	346.0

ქვეპროგრამა: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ქვეპროგრამა: ბათუმის ტერიტორიის აეროფოტოგადაღება და ციფრული სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიის აეროფოტოგადაღება. დაგეგმილია ქალაქის 3D ციფრული მოდელის შექმნა და არსებული საკადასტრო საზღვრების დაზუსტება, ასევე, გეოდეზიური ციფრული სიმაღლეების ციფრული რუკის შექმნა. პროექტის განხორციელების შემდეგ მოხდება მონაცემების ინტეგრაცია პროგრამულ უზრუნველყოფაში და მათი ერთიან პლატფორმაში მოქცევა.

პროგრამა: მუნიციპალური სერვისების განვითარება

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზნებიდან გამომდინარე, მუნიციპალური სერვისების განვითარება კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მიზნად ისახავს მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის ზრდას.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების ქვეპროგრამების განხორციელება, რომლის ბიუჯეტიც 2017 წლისთვის **169.200 ლარს შეადგენს**.

ქვეპროგრამა: ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების აღრიცხვისა და ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით დასუფთავების მოსაკრებლის -ბილინგის სისტემის წარმოება, რაც გულისხმობს ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეული დასუფთავების მოსაკრებლის აბონენტებისათვის მათ მიერ გადასახდელი დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის შესახებ ერთიანი ქვითრის დაბეჭდვას, მიწოდებას და გადასახდელი/გადახდილი თანხების აღრიცხვისა და მართვის ორგანიზებას.

პრიორიტეტი 2: განათლება

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მოსახლეობისთვის.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.


უმაღლესი და პროფესიული განათლება, თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს. თუმცა, ბათუმის, როგორც დინამიურად

მზარდი ქალაქისთვის, აუცილებელია კონკურენტუნარიანი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების განვითარება. ზემოთქმულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადგილობრივი კადრების განვითარების ხელშეწყობა.

პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი მიზნად ისახავს: (1) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდას; (2) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტის უზრუნველყოფას; და (3) ქ. ბათუმში ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობას და კონკურენტუნარიანობის ზრდას.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

სქემა №4: განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი)



პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ხარისხიანი მუნიციპალური სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ქვეპროგრამების განხორციელების შედეგად გაიზრდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შეიქმნება ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №10: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	13,523.0
04 01 01	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	11,310.1
04 01 02	საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	2,212.9

ქვეპროგრამა: ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ქალაქის ტერიტორიაზე იფუნქციონირებს 32 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც უზრუნველყოფილი იქნება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალური სერვისი. ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია რიგი ღონისძიებების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დადგენილი სტანდარტების უზრუნველყოფას და რეგულაციების შესაბამის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

ქვეპროგრამა: საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ბათუმის მე-12 და მე-19 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კაპიტალური რეაბილიტაცია, ასევე, თამარისა და ურეხის დასახლებებში 2 ახალი ბაღის მშენებლობა.

პროგრამა: პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანია ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა კადრების ზრდა, ბათუმელ ახალგაზრდებს შორის აკადემიური მოსწრების ამაღლების სტიმულირება.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №11: პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	160.0
04 02 01	პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	60.0
04 01 02	ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის	100.0

ქვეპროგრამა: პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს ბათუმელ ახალგაზრდებს უცხოეთში სტაჟირების გასავლელად და ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო/შემეცნებით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.

ქვეპროგრამა: ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საუკეთესო შედეგების მქონე 50 ბათუმელი სტუდენტისათვის ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიის გაცემას.

პრიორიტეტი 3: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ბათუმის, როგორც შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრის, განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის ტურისტული პოტენციალის ამაღლებას. ამასთან, ასევე, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელოვანების განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რაც ბათუმში კულტურული ცხოვრების მუდმივი და მდგრადი განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

გარდა ამისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის, მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მასობრივი სპორტის განვითარება და პროფესიული სპორტის განვითარების ხელშეწყობა. როგორც კულტურის სფეროში, ასევე სპორტის მიმართულებითაც, ქ. ბათუმის პრიორიტეტი ქალაქის, როგორც რეგიონული მნიშვნელობის სპორტული ცენტრის დამკვიდრება, რაც თანხვედრაში მოდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრიორიტეტებთან. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.


ახალგაზრდობა, ისეთი დინამიურად განვითარებადი ქალაქისთვის, როგორიც ბათუმია, განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს ახალგაზრდობის სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოს ახალგაზრდების ქალაქის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის და მონაწილეობის შესაძლებლობანი და, ასევე, ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის განვითარებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი მიზნად ისახავს (1) ბათუმის, როგორც შავი ზღვის რეგიონის კულტურული და სპორტული ცენტრის ცნობადობის ამაღლებას; და (2) ახალგაზრდების განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარებას.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, პრიორიტეტის ფარგლებში, დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

სქემა №5: კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი)



პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა მიზნად ისახავს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას სპორტულ ცხოვრებაში და სპორტული მიღწევების გაუმჯობესებას.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №12: სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	9,521.2
05 01 01	საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	355.0
05 01 02	სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა	3,243.9
05 01 03	ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა	37.0
05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	4,152.1
05 01 05	ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი	1,195.3
05 01 06	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა	114.0
05 01 07	ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“	300.3
05 01 08	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	123.6

ქვეპროგრამა: საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ბათუმში ჩატარდება 13 საერთაშორისო ტურნირი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ადგილობრივი და უცხოელი სპორტსმენების მონაწილეობით. ქვეპროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილეობას მიიღებს 800 უცხოელი და 1200 ადგილობრივი სპორტსმენი.

ქვეპროგრამა: სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური საკლუბო გუნდების მხარდაჭერას, რომლის მიზანია პროფესიული და ასაკობრივი ჯგუფების განვითარება, მოზარდთა მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული კლუბების განვითარებას.

ქვეპროგრამა: ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი მხარს დაუჭერს წარმატებული ბათუმელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების მონაწილეობას სხვადასხვა მაღალი დონის ჩემპიონატში და სპორტულ ღონისძიებებში. ასევე, გათვალისწინებულია ფინანსური მხარდაჭერა პროფესიონალ სპორტსმენთა ეკიპირებისა და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის მიზნით.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია წლიური შემაჯამებელი შეხვედრის ჩატარება წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან.

ქვეპროგრამა: სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის სამუშაოების დასრულება. პროექტი ითვალისწინებს ერთი ბუნებრივსაფარიანი და ერთი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობას FIFA-ს რეკომენდებული სტანდარტებით. ასევე, გათვალისწინებულია აფსაროსის ქუჩის მე-3 შესახვევში არსებული ღია სპორტული მოედნის კაპიტალური რეკონსტრუქცია.

ქვეპროგრამა: ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მიზნად ისახავს ბათუმის სპორტული ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ზამთრის სპორტის სახეობათა პოპულარიზაციას და ცენტრთან არსებული სპორტული კლუბების განვითარების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამა: მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების საშუალებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს საზოგადოების სპორტულ ცხოვრებაში ჩართვას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. დაგეგმილია ეზოს ფეხბურთში ორ ასაკობრივ კატეგორიაში გუნდების ჩამოყალიბება, შესაბამისი სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა და რეგულარული საწვრთნო პროცესების გამართვა. ასევე, დაგეგმილია საშემოდგომო და საგაზაფხულო ლიგის გათამაშებების ორგანიზება ეზოს ფეხბურთსა და ეზოს კალათბურთში; მასობრივი და სამოყვარულო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, გამარჯვებულთა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვება. ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ორგანიზება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის.

ქვეპროგრამა: ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“

ჭადრაკის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჭადრაკო კლუბ „ნონა“-ს ფინანსური მხარდაჭერა, საჭადრაკო კლუბ „ნონა“-სთან არსებულ ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა და მოზარდთა მომზადება; საჭადრაკო კლუბ „ნონა“-ს გუნდის დიდოსტატებით დაკომპლექტება და ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება; ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო კლუბ „ნონა“-ს გუნდის დაკომპლექტება და ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება. ასევე, დაგეგმილია შიდა ტურნირებისა და ფესტივალების ორგანიზება.

ქვეპროგრამა: ა(ა)იპ ბათუმის ავტოდრომი

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური ავტოდრომის ინფრასტრუქტურის განვითარება - შეიქმნება უსაფრთხო ტრასა კარტინგისთვის და ექსტრემალური მართვის სწავლებისათვის. ბათუმის მუნიციპალიტეტი მხარს დაუჭერს ბათუმის ავტოდრომის სახელით სპორტსმენთა მონაწილეობას საქართველოს ჩემპიონატებში.

ქვეპროგრამა: ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი

საცხენოსნო სპორტის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბათუმის საცხენოსნო კლუბის სუბსიდირება, რის შედეგადაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მუნიციპალური საცხენოსნო ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას. ბათუმის მუნიციპალიტეტი, ასევე, უზრუნველყოფს საცხენოსნო კლუბის მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებზე.

პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა

საშუალოვადიანი პრიორიტეტის მიზნებიდან გამომდინარე, კულტურის განვითარების პროგრამის მიზანს ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება და ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. პროგრამის განხორციელების შედეგად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი გეგმავს ქალაქის კულტურული ცხოვრების გაზრდას და გამრავალფეროვნებას.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №13: კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4,471.5
05 02 01	საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა	350.0
05 02 02	კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	250.0
05 02 03	ხელოვანთა ხელშეწყობა	10.0
05 02 04	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი	3,094.9
05 02 05	ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა	751.6
05 02 06	მემორიალების პროექტების შედგენა	15.0

ქვეპროგრამა: საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი დააფინანსებს 4 საერთაშორისო ფესტივალს ბათუმში:

- კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი.
- საავტორო კინოს ბათუმის XII საერთაშორისო ფესტივალი.
- ბათუმის ანიმაციური ფილმების IX საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამა.
- მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი.

ქვეპროგრამა: კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურის სფეროში ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან შემოსული პროექტების მხარდაჭერას. შეირჩევა საუკეთესო ინიციატივები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას.

ქვეპროგრამა: ხელოვანთა ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. ბათუმში მოღვაწე შემოქმედთა (მათ შორის, შემოქმედებითი ჯგუფების, ბათუმელი შემსრულებლების, მხატვრების, ფოტოხელოვანების) მხარდაჭერა. კერძოდ, იმ ხელოვანთა ხელშეწყობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა თუ გამოფენებში.

ქვეპროგრამა: ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

ქვეპროგრამის ფარგლებში ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით ჩატარდება კულტურული ღონისძიებები, ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად. მუნიციპალური ანსამბლების პოპულარიზაციის და განვითარების მიზნით დაგეგმილია გასტროლები ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. ასევე, დაგეგმილია ქალაქში არსებული დიასპორების უშუალო ჩართულობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება.

ქვეპროგრამა: ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ფინანსური მხარდაჭერა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბიბლიოთეკო ფონდების მართვა და განახლება. ასევე, გათვალისწინებულია კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზებული სემინარების და ტრენინგების ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა.

ქვეპროგრამა: მემორიალების პროექტების შედგენა

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადდება კონკურსი რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა და 9 აპრილის გმირთა მემორიალების ესკიზების შესაქმნელად.

პროგრამა: ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის მიზნებიდან გამომდინარე, ახალგაზრდობის განვითარების პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდობის გააქტიურებას და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვას. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ბათუმელი ახალგაზრდობის ჩართულობის ამაღლებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №14: ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
05 03	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	281.6
05 03 01	ახალგაზრდული ცენტრი	135.1
05 03 02	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	60.5
05 03 03	სტუდენტური საზაფხულო დასაქმება	86.0

ქვეპროგრამა: ახალგაზრდული ცენტრი

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ცენტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ახალგაზრდულ ცენტრში ბათუმელ ახალგაზრდებს შეეძლებათ აიმაღლონ პროექტების მართვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები; „ახალგაზრდული ცენტრი“ ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში მოხალისეობის მოტივაციის ზრდას, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას სპორტული აქტივობების, მასობრივი კამპანიებისა და სხვა ღონისძიებების მეშვეობით. ქვეპროგრამა, ასევე, მოიცავს ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ ინიცირებული ან ახალგაზრდებისათვის სასარგებლო პროექტების განხორციელების ფინანსურ მხარდაჭერას.

ქვეპროგრამა: ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდება ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ტურნირები. ასევე, ქალაქ ბათუმის მერია უზრუნველყოფს ინტელექტუალური მედიაპროექტის - „ეტალონის“ | ეტაპისა და ფინალის ჩატარებას ბათუმში.

ქვეპროგრამა: სტუდენტური საზაფხულო დასაქმება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბათუმელი სტუდენტების დროებით საზაფხულო დასაქმებას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში, ასევე, სხვა სახელმწიფო სტრუქტურულ ერთეულებში.

პრიორიტეტი 4: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წამოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ქალაქის მოსახლეობისთვის, რაც დაკავშირებულია მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯების შემცირებასთან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ასევე, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, წარმოადგენს ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, აგრეთვე, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, რაც ასევე, საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულის მისაღწევად, ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ეპიდემიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა.

სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებთან და მიმართულია სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფისკენ.

ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები, ძირითადად, ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში. თუმცა, რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურეობის ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე, მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრიორიტეტის ფარგლებში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი მიზნად ისახავს (1) მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას; (2) ავადობის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირებას; (3) მოსახლეობის სიღარიბით, ხანდაზმულობით და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სოციალური რისკების შემცირებას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

პრიორიტეტის მიზნების მისაღწევად, დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

სქემა №6: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი)



პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზნებიდან გამომდინარე, ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა მიზნად ისახავს ავადობის პრევენციას და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირებას, ასევე, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №15: ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	3,975.6
06 01 01	ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა	402.5
06 01 02	ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია	48.3
06 01 03	ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა	40.9
06 01 04	ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	92.5
06 01 05	მონყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება	105.0
06 01 06	C ჰეპატიტის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება	260.4
06 01 07	შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია	263.8
06 01 09	ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია	404.5
06 01 10	ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება	166.8
06 01 11	ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	90.0
06 01 12	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	640.0
06 01 13	ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება	1,460.9

ქვეპროგრამა: ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში მედიკამენტები მიეწოდებათ ბრონქული ასთმით, ეპილექსიით, მეორე ტიპის დიაბეტით და პარკინსონით დაავადებულ პირებს (19 წლამდე ასაკის პირებს, 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირებს, შშმ პირებსა და ასაკით პენსიონერებს). აგრეთვე, ქვეპროგრამის ფარგლებში, ფენილკეტონურიით დაავადებულ პირებს, საკვები დანამატების შეძენის მიზნით, გაეწევათ მატერიალური დახმარება.

ქვეპროგრამა: ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობა

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოწყვლად ჯგუფებში.

ქვეპროგრამა: ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა

ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს ჩატარდება მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსი.

ქვეპროგრამა: ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ბათუმში მცხოვრებ 18 წლის ზემოთ ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შედგენა, რაც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ერგოთერაპია, არტ-თერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პედაგოგის მომსახურება, საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევების გამომუშავება, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში ჩართვა.

ქვეპროგრამა: მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირთა, ომში დაინვალიდებულ პირთა, ომის ვეტერანებისა (ასაკით პენსიონერების) და 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვების სტომატოლოგიური, ორთოპედიული და ორთოპედიული მომსახურების გაწევა.

ქვეპროგრამა: C ჰეპატიტის დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას (0-70000 სარეიტინგო ქულამდე) სრულად დაუფინანსდებათ C ჰეპატიტის მკურნალობა და დიაგნოსტიკების მომსახურება, ხოლო სხვა კატეგორიის მოსახლეობისთვის დაფინანსდება დამატებით სრული ღირებულების 42%.

ქვეპროგრამა: შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია კლიმატოთერაპიისა და სარეაბილიტაციო კურსის ჩატარება შშმ და ომში დაინვალიდებულ პირთათვის, ასევე, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის.

ქვეპროგრამა: ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ახალშობილების სკრინინგი აუდიოლოგიური პათოლოგიისა და გენეტიკური პათოლოგიის (მუკოვისციდოზი) ადრეული აღმოჩენის მიზნით. ასევე, გათვალისწინებულია სარეაბილიტაციო კურსის ჩატარება განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისთვის და მათი მშობლებისთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება; სმენის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია. დამატებით, აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე 3 დან 14 წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდებათ გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა.

ქვეპროგრამა: ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტებს და 18 წლამდე ლეიკემიით დაავადებულ პირებს გაეწევთ დახმარება.

ქვეპროგრამა: ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება

ქვეპროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწევა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ, ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირებს.

ქვეპროგრამა: მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მედიკამენტებითა და მკურნალობის თანადაფინანსებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამა: ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის თანამშრომელთათვის ხელფასების დოტაციას და ზამთარ-ზაფხულის პერიოდში დამატებითი ბრიგადების დაფინანსებას.

პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზნებიდან გამომდინარე, სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა მიზნად ისახავს საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესებას და ფინანსური რისკების შემცირებას. პროგრამა უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოწყვლადი კატეგორიებისათვის (მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები, ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები, სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები და მათი შვილები და სხვები) სხვადასხვა სახის სერვისების მიწოდებას და მატერიალური დახმარებების გაწევას.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №16: სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	7,834.4
06 02 01	კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება	675.3
06 02 02	მონყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა	1,125.9
06 02 03	მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება	1,908.0
06 02 04	მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	856.7
06 02 06	მუნიციპალური უფასო სასადილო	3,033.5
06 02 07	დროებითი ღამის თავშესაფარი	227.5
06 02 08	საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა	7.5

ქვეპროგრამა: კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოციალურად დაუცველი და მონყვლადი ჯგუფებისათვის კომუნალური მომსახურების საფასურის (წყლისა და კანალიზაციის და დასუფთავების მოსაკრებელი, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადი, გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხა, თხევადი აირის ტალონი) შეღავათისა და კომპენსაციის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამა: მონყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მონყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამა: მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება

მუნიციპალური ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის ამაღლების მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის შეღავათების უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამა: მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია უპოვარ და მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსება, მათ შორის, თავშესაფრით, შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და კვებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს საჭიროების მქონე პირთათვის სახლის პირობებში სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდებას.

ქვეპროგრამა: მუნიციპალური უფასო სასადილო

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიაზე 6 უფასო სასადილოს ფუნქციონირების უზრუნველყოფას სიღატაკის ზღვარზე მყოფი მოქალაქეებისთვის.

ქვეპროგრამა: დროებითი ღამის თავშესაფარი

ქვეპროგრამა ითვალისწინებს უპოვართათვის და უსახლკარო პირთათვის დროებითი ღამის თავშესაფრის ფუნქციონირებას.

ქვეპროგრამა: საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრისა და ვეტერანთა ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა.

პროგრამა: სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზნებიდან გამომდინარე, სანიტარიული ზედამხედველობისა და ეპიდსიტუაციის მართვის პროგრამა მიზნად ისახავს ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, გადაამდები დაავადებების პრევენციას. პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამების განხორციელების შედეგად, შემცირდება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორები და უზრუნველყოფილი იქნება ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო.

პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ცხრილი №17: სანიტარიული ზედამხედველობისა და ეპიდსიტუაციის მართვის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 2017 წლის ქვეპროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი):

კოდი	დასახელება	ბიუჯეტი
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	636.8
06 03 01	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი	84.0
06 03 02	დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებები	303.02
06 03 03	მანანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები	249.6

ქვეპროგრამა: ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო, საალმზრდელო და ასევე ქ. ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური მონიტორინგის ღონისძიებების ჩატარებას.

ქვეპროგრამა: დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებები

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის მაღალი რისკის ზონებში პროფილაქტიკური სადებიზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება მავნე მწერებისა და მღრღნელების მაქსიმალური შემცირებისა და მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ქვეპროგრამა: მანანწალა ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მანანწალა ცხოველების (ძაღლების, კატების) პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების განხორციელება.

პრიორიტეტი 5: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საბიუჯეტო პრიორიტეტს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრული დაფინანსება მოხმარდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქალაქ ბათუმის მერიის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის კანონით განსაზღვრული ადმინისტრაციული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას. გარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულების ფინანსური უზრუნველყოფისა, პრიორიტეტი, ასევე, მოიცავს სასესიო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებს, სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს და, აგრეთვე, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად წვევამდელთა ტრანსპორტირების ხარჯებს.

სქემა №7: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების ბიუჯეტი (ათასი ლარი)



თავი 3: მოქალაქეთა ჩართულობის და საზოგადოებრივი კონფილიქტის მექანიზმები აღმშენებლობით თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირებისა და აღსრულების პროცესში

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. ადგილობრივი ბიუჯეტით, მასში გაწერილი პროგრამებითა და ქვეპროგრამებით განისაზღვრება, თუ როგორ უნდა დახარჯოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ საჯარო ფინანსები იმ გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, რომლებიც აუცილებელია მოქალაქეთა ცხოვრებისთვის.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბიუჯეტის შემუშავების ფუნდამენტური პრინციპია - ბიუჯეტის გამჭვირვალობა და ანგარიშგაღებულება. გამჭვირვალობა გულისხმობს ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობას საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნებას; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

ანგარიშგაღებულება გულისხმობს საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე.

აღნიშნული პრინციპების საფუძველზე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს ჩაერთოს ბიუჯეტის შემუშავებისა და აღსრულების პროცესში.

საბიუჯეტო პროცესის ეტაპები	ჩართულობა
შედგენა	ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მოქალაქეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება
განხილვა და დამტკიცება	ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობის მიღება და რეკომენდაციების მიწოდება
აღსრულება	მონიტორინგის განხორციელება
კონტროლი და ანგარიშგება	მონიტორინგის განხორციელება და აღსრულების შეფასება

ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმები

მოქალაქეთა უფლება - მონაწილეობა მიიღონ თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, გარანტირებულია საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

შესაბამისად, მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ და საკუთარი მოსაზრებები მიაწოდონ ადგილობრივ ხელისუფლებას. ბიუჯეტის პროექტის შედგენის, განხილვისა და დამტკიცებისას, მოქალაქეებს უფლება აქვთ, წინადადებებით მიმართონ მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს, ასევე, დაესწრონ საკრებულოს სხდომებს და მიაწოდონ საკრებულოს საკუთარი წინადადებები და შენიშვნები.

ბიუჯეტის შედგენისა და განხილვის ეტაპებზე მოქალაქეთა მონაწილეობის კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმებია:

- საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობა;
- საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;
- საკრებულოს დადგენილების პროექტის პეტიციის წესით ინიცირება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნებისმიერი მოქალაქის კანონით გარანტირებული უფლებათა მოითხოვოს შეხვედრა საკრებულოს წევრთან და მიაწოდოს საკუთარი მოსაზრება ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. ასევე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით საკრებულო ვალდებულია უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტების საჯარო განხილვა მათ დამტკიცებამდე. მოქალაქეთა შენიშვნები და რეკომენდაციები აისახება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასკვნაში, რომელიც ეგზავნება ქალაქ ბათუმის ბიუჯეტის პროექტში შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად. ასევე, საკრებულოს ვალდებულია სამთვეში ერთხელ მაინც უზრუნველყოს „ღია კარის სხდომები“ მოქალაქეთა მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მოსასმენად.

გარდა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურისა, ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შედგენის ეტაპზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების ორგანიზებით იმართება საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტისა და მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა (შენიშვნა: შესაბამისი შეხვედრების ჩატარების ვადები მოცემულია ამ გზამკვლევის პირველ თავში - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის საბიუჯეტო პროცესების კალენდარი). აღნიშნულ შეხვედრებზე ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება აქვს განიხილოს საბიუჯეტო დოკუმენტების პროექტები, დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით და მიაწოდოს რეკომენდაციები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობას, მერიის შესაბამისი სამსახურებისა თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებისა, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის შემუშავების პროცესში, ქალაქ ბათუმში ფუნქციონირებს სამი ორგანიზაციული მექანიზმი მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის უზრუნველსაყოფად. ეს მექანიზმებია:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკონსულტაციო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონსულტაციო-სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- ქალაქ ბათუმის საკრებულოს საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოები თვითმმართველ ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულებში (უბნებში) საზოგადოებრივი დარბაზი

სამივე მექანიზმის ძირითადი მიმართულებებია:

- საზოგადოებრივი განხილვები/დისკუსიები თვითმმართველობაში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე;
- საბიუჯეტო პროცესების გამჭვირვალობა და ინფორმირებულობის გაზრდა;
- ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა, მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების ძიება და რეკომენდაციების წარდგენა;
- შიდა სამუშაო შეხვედრები.

ასევე აღსანიშნავია, რომ ბათუმის საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გააჩნია ინტერაქტიული ვებგვერდი www.marte.ge, სადაც მოქალაქეებს საშუალება აქვთ გაეცნონ ბიუჯეტის პროექტს და დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები.

აღნიშნული ორგანიზაციული მექანიზმების მეშვეობით ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება აქვს აქტიურად ჩაერთოს ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების პროცესში - მიაწოდოს ქალაქ ბათუმის თვითმმართველობას სამოქალაქო ინიციატივები, რეკომენდაციები და მოსაზრებები შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების მიზნით.

მოქალაქეთა მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმები თვითმმართველობის ბიუჯეტის აღსრულების პროცესში

მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტი დაიგეგმოს გამჭვირვალედ, მიზანმიმართულად და საზოგადოების ფართო ჩართულობით, ხოლო მისი ხარჯვა კი განხორციელდეს მაქსიმალურად ეფექტიანად. ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების მონიტორინგი და კონტროლი სამი მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს: 1) ადგილი ხომ არ აქვს კორუფციას (რაც უფრო სამართალდამცავი სტრუქტურების მონიტორინგის სფეროა); 2) ხდება თუ არა გამოყოფილი თანხების სრულად ათვისება, რაც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ანალიზის მოითხოვს და 3) რამდენად ეფექტიანად და მიზანმიმართულად იხარჯება ბიუჯეტიდან თანხები.

ბიუჯეტის ხარჯვის, ანუ აღსრულების, ეტაპზე მოქალაქეებს შეუძლიათ, განახორციელონ მონიტორინგი, თუ რამდენად წესებისა და პროცედურების დაცვით ხდება დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვა და ადგილობრივი შესყიდვების განხორციელება, ასევე, რამდენად მიზანმიმართულად და ეფექტიანად იხარჯება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საბიუჯეტო რესურსები. ბიუჯეტის შესრულების კონტროლის ეტაპზე, მოქალაქეებს უფლება აქვთ განახორციელონ მონიტორინგი და შეაფასონ შესრულება, მიაწოდონ ადგილობრივ ხელისუფლებას შენიშვნები შესრულების ანგარიშებთან დაკავშირებით. ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და აუდიტორული დასკვნა არის საჭარო ინფორმაცია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

ადგილობრივი ბიუჯეტის აღსრულების მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით, მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივი თვითმმართველობის ვებგვერდს (www.batumi.ge; www.batumicc.ge), რათა მიიღონ ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიმდინარეობის შესახებ. ასევე, კანონით სავალდებულოა ადგილობრივი ბიუჯეტის (მათ შორის, ბიუჯეტის ცვლილებების და დამატებების) გამოქვეყნება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში (www.matsne.gov.ge).

მოქალაქეს, ასევე, შეუძლია ბიუჯეტი და მასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია გამოითხოვოს თვითმმართველობიდან წერილობითი ფორმით, როგორც საჯარო ინფორმაცია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის საფუძველზე.

გასათვალისწინებელია, რომ წლის განმავლობაში, ადგილობრივ ბიუჯეტში შედის ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც ბიუჯეტს ემატება ახალი ღონისძიებები, ასევე, იცვლება არსებული ღონისძიებების დაფინანსება. მნიშვნელოვანია, ყოველი საბიუჯეტო ცვლილება ეფუძნებოდეს პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების ანალიზს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი ბიუჯეტის ეფექტური მონიტორინგის განსახორციელებლად, მოქალაქეებმა სასურველი გაითვალისწინონ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესების კალენდარი, კერძოდ, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადების ვადები, რომელიც მოცემულია ამ გზამკვლევის პირველ თავში. პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების ანგარიშების ანალიზისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს პროგრამებისა და ქვეპროგრამების საბოლოო და შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების მონაცემებს. ამ მონაცემების საფუძველზე, შესაძლებელია განისაზღვროს რამდენად წარმატებულად და ეფექტურად ხორციელდება ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პროგრამული ბიუჯეტის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები, და არამხოლოდ პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებლობზე გადანაწილებული რესურსები. შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია შეფასდეს რამდენად მიაღწია პროგრამამ ან ქვეპროგრამამ დაგეგმილ შედეგს, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე მდგარი გამოწვევების მოსაგვარებლად დაიგეგმა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროგრამული ბიუჯეტის შესრულების, მონიტორინგისა და ანგარიშებისას ნათლად უნდა გამოჩნდეს მიღწეული შედეგები და არა მხოლოდ განხორციელებული ღონისძიებები და ათვისებული ასიგნებები.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების ანგარიშები განიხილება საკრებულოს, საკრებულოს კომისიების სხდომებზე. ქალაქ ბათუმის საკრებულოს რეგლამენტის საფუძველზე, ნებისმიერ პირს უფლება აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის ღია სხდომებს და მიიღოს ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით.

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აღსრულების კონტროლი, ასევე შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენით. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირისა და საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების განხილვას.

მოსმენილი ანგარიშების საფუძველზე, მოქალაქეს უფლება აქვს შეიმუშაოს რეკომენდაციები და წარუდგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ბიუჯეტის ხარჯვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

გამოყენებული დოკუმენტები და ლიტერატურა

1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.
3. პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2011 წელი.
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემუშავების წესი, USAID დემოკრატიული მმართველობა საქართველოში.
5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი.
6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი 2017-2020 წწ. პრიორიტეტების დოკუმენტი.
7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი.
8. საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირების პროცესი და ბიუჯეტის ხარჯების მონიტორინგი, გზამკვლევი - პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფი, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი.
9. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის სახელმძღვანელო, USAID დემოკრატიული მმართველობა საქართველოში.